პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 258 (5808)

1976 წ. 30 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან

შრომაშიც, სპორტშიც...

სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში ჯონი ლომიძე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის № 8 მექანიკური საამქროს შემკეთებელი ზეინკალია. იგი ამ კოლექტივში ათი წელია მუშაობს და დავალებებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. ლომიძე სპორტს ჭიათურაში ეზიარა, ოსტატის წოდება კი სპორტკლუბ „გამარჯვებაში“ მოიპოვა. ახლა იგი საამქროს ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეა და ნდობას გულმოდგინე შრომით ამართლებს.



სურათზე: ჯ. ლომიძე.

თ. ქიქავას ფოტო.

წლეულს, თბილისში...

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად ყოველწლიურად ატარებს საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა საქალაქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებს.

წლეულს საქალაქო სპარტაკიადა თბილისის ბაზებზე ხუთ სახეობაში ჩატარდა. მონაწილეობდნენ თბილისის ინდუსტრიული, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, პოლიტექნიკური, საბჭოთა ვაჭრობის, სამრეწველო-ეკონომიური და პედაგოგიური სასწავლებლების ნაკრები გუნდები. ასპარეზობა უფრო საინტერესო იქნებოდა, მომავალ პედაგოგებს პროგრამის ყველა სახეობაში რომ ეცადათ ძალა.

მძლეოსნურ კროსში, ველორბოლაში, ქართულ ჭიდაობასა და ფრენბურთში (ვაჟები) ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდებმა იმარჯვეს. კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა და ფრენბურთელ ქალთა ტურნირში პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტსმენებმა ისახელეს თავი.

საერთო გუნდური პირველობა ინდუსტრიული ტექნიკუმის ნაკრებმა მოიპოვა, მეორე იყო პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდი, მესამე — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კოლექტივი.

ნ. გაგოშიძე,

სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ქალაქი — სოფელს

იმ მრავალმხრივ ნაყოფიერ საქმიანობას შორის, რომელსაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბი ეწევა, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საშეფო მუშაობას სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებთან.

მაგალითად, 1975-76 წლებში ინსტიტუტის სპორტული კლუბი შეფობდა გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკას და, შეიძლება ითქვას, გამოაცოცხლა ამ კოლექტივის ფიზკულტურული ცხოვრება, თუმცა, უმჯობესია, სპორტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარეს პ. ათაბეგოვს მოვუსმინოთ:

— უნდა ითქვას, რომ გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა თითქმის ჩამლილი იყო. ჩვენი საშეფო საქმიანობა იმით დაიწყო, რომ ჩამოვაყალიბეთ ფიზკულტურის კოლექტივი. სათანადო ორგანოებთან ჩვენი შუამდგომლობით ფაბრიკას ფიზკულტურის შტატიანი მეთოდისტიც გამოუყვეს, ფიზკულტურის კოლექტივთან შეიქმნა ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის სექცია, დაკომპლექტდა გუნდები სპორტის ამ სახეობებში. უსასყიდლოდ გადავეცით სპორტული ფორმები, საჭიდაო ლეიბები და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. ინსტიტუტის კვალიფიციური ლექტორები რეგულარულად ატარებდნენ ლექცია-საუბრებს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სტუდენტთა ძალებით მოწყობილმა საჩვენებელმა გამოსვლებმა სპორტულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ფარიკაობაში, ძალოსნობაში.

დასასრულს მოვაწყვეთ სპორტული ზეიმი, რომელშიც ფაბრიკის თითქმის მთელი კოლექტივი მონაწილეობდა. საწარმოს ხელმძღვანელებმა და მუშაახალგაზრდობამ გულწრფელი მადლობა გადაგვიხადეს მეგობრული დახმარებისთვის.

ცხადია, რომ ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებაში საშეფო მუშაობის როლი თვალსაჩინოა. ამასვე მოწმობს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის ივნისის დადგენილება „სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე შეფობის შესახებ“.

ეს დადგენილება გულმოდგინედ განიხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომის სხდომაზე და ახალი საშეფო ობიექტებიც შეარჩიეს, ესენია ბორჯომის რაიონის ციხისძირის საჯიშე მეურნეობისა და ბაკურიანის ნადირმშენის ფიზკულტურული კოლექტივები.

გულწრფელი მადლობა

სპორტული კლუბის გეგმით აქ ბევრი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებების ჩატარებაა გათვალისწინებული:

სლალომისა და ხუთკილომეტრიანი სათხილამურო სარბოლი ტრასის შერჩევა და აღჭურვა; სათხილამურო სპორტში მშრ კომპლექსის ნორმატივების მიღების ორგანიზაცია; ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისა და გამოჩენილი სპორტსმენების შეხვედრა წარმოების მოწინავე მუშაკებთან; დახმარება სპორტული შეჯიბრების ორგანიზაციაში; სპორტულ თემაზე ლექცია-სემინარების ჩატარება; სპორტული კინოფილმების ჩვენება; საჩვენებელი გამოსვლების მოწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში და სხვა.

ციხისძირის საჯიშე მეურნეობის და ბაკურიანის ნადირმშენის მუშასპორტსმენები ამ დღეებში შეფებისგან პირველ საჩუქარს მიიღებენ — მათ უკვე გაეგზავნათ 60 წყვილი სპორტული კოსტიუმი.

ე. ბერიშვილი.

„კლასიკოსთა“ მესამე თასი!

საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთათვის 1976 წელი უზემოსავლიანი გამოდგა. ჩვენმა ნაკრებმა მოიგო სსრ კავშირისა და ევროპის თასები დინამოელ მოჭიდავეთა შორის. არანაკლებ საამაყოა პირადი შედეგებიც: სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ **ი. ბერიშვილი, მ. სალაძე.** ამავე ჩემპიონატში უძლიერესთა ხუთეულში კიდევ შვიდი ქართველი მოჭიდავე მოხვდა. გაგვახარა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური პირველობის შედეგებმაც — **ა. მაისურაძე** ჩემპიონი გახდა, **მ. სალაძემ** მესამე ადგილი დაიკავა. ევროპის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა **ი. ბერიშვილი,** მანვე მოიგო ლისაბონში ევროპის შეიარაღებული ძალების თასიც. სსრ კავშირის პირველობაში ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის ყველას აჯობა **ი. ჯულელმა,** იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა **რ. აბრამიშვილი.**

და აი, წლის მიწურულს კიდევ ერთი, რიგით მესამე გუნდური გამარჯვება: ნოვოსიბირსკში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში იუნიორთა შორის გაიმარჯვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული.

გვესაუბრება საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **დ. დავითაია.**

მთავარი მაინც სპარტაკიადაა!

„ლელო“ ინტერვიუ

შეიარაღებული ძალების თასის გათამაშებაში რვა გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მოეწყო, პირველივე წაგებული მატჩის შემდეგ გუნდი მაყურებლებში ინაცვლებდა.

პირველ წრეში საკმაოდ იოლად დავამარცხეთ საჰაერო თავდაცვის ბაქოს სამხედრო ოლქის გუნდი — 28:8; მეორე წრეში იმავე ანგარიშით მოვუგეთ კიევის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებს, ნახევარფინალში ვაჯობეთ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის კოლექტივს — 24:12. გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯილა იყო, მით უმეტეს, რომ მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში მოსკოველებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით სძლიეს შუა აზიის შეიარაღებული ძალების ოლქის გუნდს. თუმცა, ისიც გვაფიქრებდა, რომ ამ დროისთვის საკმაოდ დიდი დანაკლისი განვიცადეთ — ჯერ იყო და ცხრა მოჭიდავით დავიწყეთ ტურნირი (გუნდი ათი სპორტსმენისგან შედგება), ნახევარფინალის წინ კი ტრავმის გამო კიდევ ერთი კაცი გამოგვაკლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოსკოველებთან ფინალური ბრძოლის დაწყებამდე უკვე რვა ქულით ვაგებდით.

მიუხედავად ამისა, ბიჭებმა გაიმარჯვეს და საკმაოდ დამაჯერებლადაც — 26:10!

გუნდიდან რომელიმეს გამოყოფა არ მინდოდა — თითოეული წევრი ვაჟკაცურად იბრძოდა — მაგრამ ყველაზე მეტი წვლილი საერთო გამარჯვებაში მაინც ოთხ მოჭიდავეს მიუძღვის. ყველა შეხვედრა მოიგეს ვაჟა ბაგაევმა (უმჩატესი), ამირან მაცაბერიძემ (ქვემსუბუქი), გურამ მაჭარაშვილმა (მსუბუქი) და მალხაზ ლეჟავამ (საშუალო).

აღსანიშნავია, რომ მთელი გუნდი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მათგან ხუთი იმ ნაკრების წევრია, ახლახან თბილისში სსრ კავშირის თასი რომ მოიგო.

პირადად ჩვენ, მწვრთნელები, კმაყოფილი ვართ წლევანდელი შედეგებით. ვფიქრობთ, ამავე აზრისა არიან კლასიკური ჭიდაობის თაყვანისმცემელნი. მაგრამ უკვე ახლა ხვალინდელ დღეზე ფიქრია საჭირო.

მარტში გაიმართება სსრ კავშირის პირველობა. რა თქმა უნდა, ვემზადებით ამ შეჯიბრებისთვის, მაგრამ უფრო მეტ მნიშვნელობას ახალგაზრდულ II საკავშირო თამაშებს ვანიჭებთ, რომელიც ივლისის თვეში მინსკში მოეწყობა. ასეთი გამორჩევა შემთხვევითი არ არის, ჩვენი მიზანი ხომ სსრ კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადაა. სწორედ ამიტომ შევიყვანეთ ოთხი ახალბედა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, სწორედ ამიტომ გავაახალგაზრდავეთ ძირითადი გუნდიც. რა თქმა უნდა, ახლო მომავალში ამან შეიძლება უარყოფითადაც იმოქმედოს შედეგებზე, მაგრამ, ვიმეორებ, მთავარი მაინც სპარტაკიადაა!

ზედიზედ მერვე...

შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

კიევი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო, როცა დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები — ლენინგრადის სპარტაკელები. მართალია, კიეველებმა შეხვედრის პირველი ნახევარი დათმეს — 30:34, მაგრამ შემდეგ შეძლეს საპატიო გამარჯვების მოპოვება — 77:72. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ტკაჩენკო — 19 ქულა, ხოლო დამარცხებულთაგან — ა. ბელოვი — 25.

ამჯერად — მოგება

ნიუ-იორკი, 29 **დეკემბერი.** სსრ კავშირის ჰოკეისტთა კლუბების ნაკრებმა ჩრდილოეთ ამერიკაში ტურნეს მეორე მატჩი იღბლიანად ჩაატარა. საბჭოთა სპორტსმენებმა ცინცინატში დაამარცხეს ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის საკლუბო გუნდი „ცინცინატი სტინგერსი“ — 7:5 (1:0, 2:2, 4:3).

ოლიმპიადის საფოსტო თანამგზავრი

საბჭოთა ქვეყნის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა სამი საფოსტო მარკა და ბლოკი, რომლებიც მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება.

ერთ-ერთ მარკაზე აღბეჭდილია ოლიმპიური ჩირაღდანი, მონრეალისა და მოსკოვის ოლიმპიადების ემბლემები. მარკა ღირს 4+2 კაპიკი (მეორე ციფრი — დანამატი სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ფონდისთვის). მეორე მარკაზე (ნომინალი 10+5 კაპ.) გამოსახულია 1980 წლის ოლიმპიადის ემბლემა. მესამე მარკაზე (ნომინალი 16+6 კაპ.) გამეორებულია წინა ემბლემა, ოღონდ ფერები სხვაა. ნახატები ეკუთვნის ნ. ლიტვინოვს.

სერიას აგვირგვინებს საფოსტო ბლოკი (ნომინალი 00+30 კაპ.), რომელზეც აღბეჭდილია მოსკოვის კრემლის მაკეტი.



ანგარიშგება-არჩევნები ფიზკულტურულ ორგანიზაციებში

•

ნაკლოვანებები — დღის სინათლეზე

გაიმართა „კოლმეურნის“ ხელვაჩაურის რაისაბჭოს XXIII კონფერენცია. 1975-76 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე რ. ფირცხალავა.

მომხსენებელმა თქვა, რომ საანგარიშო პერიოდში მუშაობა ნაყოფიერი იყო, დიდი გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებები. 2-ის ნაცვლად მომზადდა 4 სპორტის ოსტატი, 6-ის ნაცვლად — 10 ოსტატობის კანდიდატი, 34-ის ნაცვლად — 46 პირველთანრიგოსანი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა მეორე და მესამე თანრიგოსანთა, მშდ-ს ნიშნოსანთა მომზადების გეგმები.

წარმატებებთან ერთად აღინიშნა მუშაობის ნაკლოვანი მხარეებიც.

მაგალითად, ითქვა, რომ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები არა აქვთ ახალშენის, მეჯინისწყლის, მახოს, ჰარნალის, აჭარისწყლის, მახინჯაურის, ქედისა და ჩხუტუნეთის კოლმეურნეობებს. თხილნარის, გონიოსა და მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობების სპორტული მოედნები მოუვლელია.

განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება აჭარისწყლის კოლმეურნეობაზე, სადაც სპორტული მუშაობა ჩაშლილია. მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით არაფერი კეთდება ურეხისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობებში. მათ ვერ შეასრულეს წლიური დავალებები.

რაც შეეხება მშდ კომპლექსს, ითქვა, რომ ნორმატივების ჩაბარება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

ო. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ნდობა ისევ გამოუცხადეს

გაიმართა „სპარტაკის“ ზუგდიდის საქალაქო საბჭოს კონფერენცია. საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე კ. კვანჭიანი. მან ილაპარაკა საბჭოში გაერთიანებული 50 კოლექტივის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, აღნიშნა, რომ მათს უმეტესობაში ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობა ჩაშლილია. განსაკუთრებით ჩამორჩნენ სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის, გაზის ტრესტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ცეკავშირის ბაზის, ღვინის ქარხნის, სახლმმართველობებისა და სარემონტო კონტორების, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების კოლექტივები. ბევრგან არ სრულდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მხრივ მდგომარეობა სავალალოა.

კამათის მონაწილეებმა — ბ. მგალობლიშვილმა („ზუგდიდვაჭრობა“), ზ. ბულიამ (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), ნ. ჰურღულიამ (საქჩაის ტრესტის ზუგდიდის სარემონტო კომბინატი), ნ. ქანთარიამ (ადგილმრეწველობის კომბინატი) და სხვებმა ილაპარაკეს მათი კოლექტივებისა და საქალაქო საბჭოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

კონფერენციამ „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ კ. კვანჭიანი აირჩია.

კ. ფიფია.

საქართველოს თასი

•

პირველი შესარჩევი...

ზესტაფონში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ფარიკაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ზესტაფონის უძლიერესი მუშკეტერები. შეჯიბრების შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ფარიკაობაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მორის სახვაძე.

— რესპუბლიკური თასის გათამაშება ფარიკაობაში პირველი ოფიციალური შესარჩევი ტურნირიც იყო მინსკის საკავშირო ახალგაზრდული თამაშების წინ, რომელიც გაისად ივლისში გაიმართება.

თუმცა, დავიწყოთ თავიდან. ტრადიციულად ჩვენ ძლიერი ხმლით მოფარიკავენი გვყავს. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ავთანდილ კიკნაძემ 1974 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაში III ადგილი მოიპოვა. იგი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ახლაც საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატთა შეკრებაზეა მოსკოვში. ამიტომაც საპატიო თასისთვის ბრძოლა ძირითადად თბილისელებს — თემურ ბობოხიძესა და თამაზ ესართიას შორის გაჩაღდა. ამ სპორტსმენთა გადამწყვეტ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა ბობოხიძემ.

რაპირისტ ქალთა ტურნირის ფინალში თანაბარი სიძლიერის სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. მათგან უკეთესი მომზადება გამოავლინა თბილისელმა მანანა ხიდაშელმა და თასიც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ტურნირს რატომღაც თავი აარიდა გამოცდილმა თბილისელმა სპორტსმენმა დალი ბუხრაშვილმა.

რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრების ფინალში თბილისელებს — მალხაზ გუგუშვილს, ლადო გოქაძესა და ლადო გვანცელაძეს სამ-სამი მოგება დაუგროვდათ. მათ შორის გამართულ დამატებით შეხვედრებში იმარჯვა გამოცდილმა სპორტსმენმა გუგუშვილმა, რომელმაც ორივე მეტოქე დაამარცხა. თავის მხრივ, გოქაძემ მოუგო გვანცელაძეს და II ადგილი დაიკავა.

ჩვენი საუკეთესო რაპირისტები გია აბაშიძე და რამაზ გიორგაძე შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან, სადაც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ და მასპინძლების შემდეგ გუნდური II ადგილი მოიპოვეს. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ აბაშიძე ფინალშიც ვერ მოხვდა, გიორგაძე კი საერთოდ არ გამოვიდა ტურნირში.

დაშნით ასპარეზობაში მართლაც უძლიერესნი ჩაებნენ (რესპუბლიკის ნაკრების წევრი დიმიტრი დავითიშვილი ავად იყო). აქ ხელი მოეცარა ლვოვში გამართულ მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონს გიორგი ჯიღაურს. საქმე ისაა, რომ ეს 16 წლის სპორტსმენი რესპუბლიკური თასის გათამაშებამდე ტერნოპოლში 1957-1958 წლებში დაბადებულთა საკავშირო პირველობაში მონაწილეობდა და საპატიო III ადგილი დაიკავა. შემდეგ იგი ნიკოლაევში თანატოლთა საკავშირო ტურნირში გამოდიოდა და II ადგილზე გავიდა. ამ ასაკში მოფარიკავეები, კერძოდ კი დაშნით მებრძოლნი, იშვიათად აღწევენ ასეთ სტაბილურ შედეგებს. ის, რომ გიორგი საქართველოს თასის ფინალში ვერ მოხვდა, მხოლოდ სპორტსმენის დაღლილობით უნდა ავხსნათ. სამაგიეროდ აქ თავი ისახელა ლვოვის ბატალიების მეორე მონაწილემ, თბილისელმა ლევან კირკიტაძემ და საპატიო ჯილდოც მოიპოვა.

რა პრობლემები წამოჭრა ამ ტურნირმა? ახალი არაფერი. ფინალისტთა შორის თითქმის ყველა ქუთაისელი ან თბილისელი იყო. ეს კვლავინდებურად მოწმობს, რომ პერიფერიებში არასახარბიელო მდგომარეობაა. აქამდე ფინალურ ორთაბრძოლაში რუსთაველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, ახლა კი გადამწყვეტ შეხვედრათა საგზურები ვერ მოიპოვეს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი კი, ჩვენი აზრით ისევ ბაზების მწვავე ნაკლებობაა. ისეთ ქალაქშიც კი, როგორიცაა ქუთაისი, ჯერ კიდევ არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი ფარიკაობის დარბაზი; მძიმე პირობებში არიან რუსთაველებიც. აღარას ვამბობთ სხვა ქალაქებსა და რაიონებზე. სამარცხვინოა, რომ არ იშოვნება საფარიკაო ფორმები, ამ მიზეზით შეჯიბრებათა გახსნის საზეიმო ცერემონიალში ხშირად მონაწილეთა ნახევარიც კი ვერ გამოდის, ხოლო თვით ასპარეზობის პროცესში ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ სპორტსმენები იძულებული არიან ერთმანეთს „გადაულოცონ“ თავიანთი ფორმები.



ქართული ფარიკაობის წინსვლას აფერხებს ზოგიერთი მწვრთნელის დაბალი კვალიფიკაციაც. მართალია, ბოლო სამი წლის მანძილზე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა — რესპუბლიკური სპორტკომიტეტის თაოსნობით ორჯერ მოეწყო მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საკმარისი არ არის. მომავალში განზრახული გვაქვს ასეთი კურსები კიდევ მოვაწყოთ და საბჭოთა კავშირის უძლიერესი მწვრთნელებიც მოვიწვიოთ.

ერთი სიტყვით, საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის მოსამზადებელ პერიოდში გასაკეთებელი ბევრი რამ არის. წინა თამაშებში VI ადგილზე გავედით, ახლა უკეთესი შედეგი გვინდა მოვიპოვოთ.

რაც შეეხება რესპუბლიკური თასის გათამაშების ზესტაფონში ჩატარებას, ეს ფარიკაობის პოპულარიზაციის მიზნით გაკეთდა. საქართველოს სპორტკომიტეტმა უკვე მესამე წელია წესად შემოიღო ამგვარი ტურნირების რაიონებში გამართვა, და თუმცა იგი გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (საფარიკაო ბილიკები და მთელი აპარატურა თბილისიდან ჩაგვაქვს შეჯიბრების ადგილზე), გადაწყვეტილება სწორად მიმაჩნია, ზესტაფონი კი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ამ ქალაქს ფარიკაობის მდიდარი ტრადიციები აქვს. ზესტაფონელია ცნობილი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი სიმონ საყვარელიძე, რომლის მოწაფეები იყვნენ 50-იანი წლების საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში ჯონდო მაჭავარიანი, საბჭოთა კავშირის პირველობათა პრიზიორი ლიანა შეყრილაძე და სხვები.

უნდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რაიონის სპორტკომიტეტმა ყველაფერი იღონეს თასის გათამაშების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ზესტაფონის ფეროკომბინატმა კი სპეციალური პრიზებიც დააწესა ფინალის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებისთვის. ისინი მოიპოვეს თბილისელებმა დაშნით მოფარიკავე ლევან კირკიტაძემ და რაპირისტმა რევაზ ხუციშვილმა.

საუბარი ჩაიწერეს ა. განუგრავამ და დ. ელიძემ.

* * *

ახლა გაგაცნობთ გათამაშების პრიზიორებს:

ხმალი. 1. თ. ბობოხიძე, 2. თ. ესართია (ორივე — თბილისი), 3. თ. მორჩილაძე (აჭარა).

რაპირა (ქალები). 1. მ. ხიდაშელი, 2. მ. გეჯაძე, 3. მ. ჯანაშია (სამივე — თბილისი).

რაპირა (ვაჟები). 1. მ. გუგუშვილი, 2. ლ. გოქაძე, 3. ლ. გვანცელაძე (სამივე — თბილისი).

დაშნა. 1. ლ. კირკიტაძე, 2. გ. ცნობილაძე, 3. მ. ბერიძე (სამივე — თბილისი).

საქართველოს ჩემპიონატი

•

რა ელის დებიუტანტს?



დამთავრდა წყალში მხტომელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი.

ასპარეზობაზე პირველად ვიხილეთ რუსთავის წარმომადგენლები. სასწაულს არ ველოდით და არც მომხდარა: დებიუტანტებს ბოლო ადგილი ხვდათ. გვინდა გამოვთქვათ იმედი, რომ მეტალურგთა ქალაქის წყალში მხტომელები რამდენიმე წელიწადში ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ თბილისელ სპორტსმენებს, რომლებსაც სპორტის ამ სახეობაში ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავთ მთელს რესპუბლიკაში. მაგრამ სურვილი ერთია, რეალური შესაძლებლობა კი მეორე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ოპტიმიზმს საფუძველი არა გვაქვს. რუსთაველებს წყალში ხტომაში თურმე.. ბატუტზე მხტომელთა მწვრთნელი ავარჯიშებს. თუმცა, წყალში მხტომელთა მწვრთნელი რუსთავში კი არა, მთელ საქართველოში სანთლით საძებარია.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით შეჯიბრებაზე. პროგრამის ყველა სახეობაში საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური თბილისელებმა დაიკავეს. გამონაკლისი იყო მხოლოდ კოშკიდან მხტომელ ვაჟთა შეჯიბრება, სადაც II ადგილზე აფხაზეთის წარმომადგენელი ა. მესუმიანი გავიდა.

შეჯიბრების მონაწილეებმა სპორტის ოსტატის ოთხი და ოსტატობის კანდიდატის ამდენივე შედეგი აჩვენეს. მიღწევები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ლ. ფირალიშვილს, ს. ნიკოლოტოვასა და ს. შალიბაშვილისათვის ტრამვასა და ავადმყოფობას ხელი რომ არ შეეშალა.

ტურნირის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი სპორტსმენები კოშკიდან ხტომაში ჯერ კიდევ მოიკოჭლებენ. ვაჟებმა, მაგალითად, I თანრიგზე უკეთეს მაჩვენებელს ვერ მიაღწიეს. ქალებში ს. ნიკოლოტოვამ ოსტატობის კანდიდატის შედეგით გაიმარჯვა, მაგრამ III ადგილზე გასული ე. ბილიოვა II თანრიგზე წინ ვერ წავიდა.

კოშკიდან მხტომელი ქალები არც სიმრავლით გამოირჩეოდნენ — სულ ხუთნი იყვნენ.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ვფიქრობდით, რომ აქ II ადგილს ქუთაისელებს ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა: მათ აფხაზეთის წარმომადგენლებმა აჯობეს. ქუთაისის სპორტსმენებს წარმატებას იმიტომ ვუწინასწარმეტყველებდით, რომ მათ თბილისელთა შემდეგ ყველაზე უკეთესი ბაზა აქვთ. მაგრამ ბაზას რა ფასი აქვს, თუ წყალი სისტემატიურად არ თბება.

ა. მჟვიშელი.

* * *

ტექნიკური შედეგები

ქალები. ერთმეტრიანი ტრამპლინი. ი. გუტიაკულოვა — 379,67 ქულა, ლ. ფირალიშვილი — 378.77, მ. ნოზაძე — 360,25; კოშკი. ს. ნიკოლოტოვა — 313,95, ნოზაძე — 283,20, ე. ბილიოვა — 249,12.

ვაჟები. ერთმეტრიანი ტრამპლინი. ა. სოლდატოვი — 469,89, ა. გორგასლანიძე — 450,93, ს. შალიბაშვილი — 406,87. კოშკი. ა. ელბაქიძე — 392,58, ა. მესუმიანი — 388,47, შალიბაშვილი — 372,36.

გუნდური: თბილისი — 198 ქულა, აფხაზეთი — 104, ქუთაისი — 71, რუსთავი — 10.

საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზზე

•

ყველა პრიზიორი თბილისელია

ერთი საზომით ყველა ტურნირს ვერ მიუდგები. არის ასპარეზობა, როცა მონაწილენი პირველ ყოვლისა სხვა რესპუბლიკების, სხვა სკოლის სპორტსმენებთან ჭიდილში თავიანთი მომზადებისა და ძალის შემოწმებას ისახავენ მიზნად. ასეთ დროს ქულებს, წუთებსა და წამებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. აქ მთავარ როლს ტაქტიკური ნახაზი და ჩანაფიქრი ასრულებს, მით უმეტეს, თუ სარბიელზე დაახლოებით თანაბარი სიძლიერის მეტოქენი არიან. ასე იყო თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა საკავშირო ტურნირში საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზზე, რომელიც ახლახან დამთავრდა თბილისში. პირად-გუნდური პირველობისთვის იბრძოდა საქართველოსა და სომხეთის ორ-ორი გუნდი — უფროსებისა და ახალგაზრდული კოლექტივები. (სხვადასხვა მიზეზით საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ ყაზახეთისა და ლენინგრადის სპორტსმენები). მართალია, მათს გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „განთიადის“ წევრებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ პირად ტურნირში ჩასათვლელი ქულებისთვის იბრძოდნენ. შეჯიბრების მეორე დღეს ამ კოლექტივებს დაგვიანებით ჩამოსული ლატვიელებიც დაემატნენ, მაგრამ მათთვის, ბუნებრივია, ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და ჩვენი სტუმრებიც მხოლოდ, ასე ვთქვათ, სავარჯიშოდ გამოვიდნენ სარბიელზე.

ტურნირი პირველ ყოვლისა ძალთა შემოწმებას ისახავდა მიზნად და ორგანიზატორებმა სეზონის მიწურულისთვის ოპტიმალურ ვარიანტს მიმართეს — ასპარეზობა მხოლოდ ტექნიკურ სახეობათა „სამჭიდში“ — ფარიკაობაში, ტყვიით სროლასა და ცხენოსნობაში ჩაატარეს. ეს ის სახეობებია, რომლებშიც ჩვენი ხუთჭიდელები შესამჩნევად მოისუსტებენ (ეს განსაკუთრებით ფარიკაობას ეხება). ეტყობა, არც სტუმრებს ჰქონდათ რაიმე საწინააღმდეგო...

თუ ამ გეგმას დაიცავდნენ, ჩვენი გუნდების მწვრთნელებს უმთავრესად ფარიკაობისთვის უნდა მიექციათ ყურადღება და ასეც მოიქცნენ. საბოლოოდ შედეგით მწვრთნელებიცა და თანამედროვე ხუთჭიდის სხვა სპეციალისტებიც კმაყოფილი დარჩნენ. მაგალითისთვის ფარიკაობის პირველი ტურის შედეგებს გადავხედოთ. ჩვენი მთავარი გუნდიდან ლიდერმა ნ. ახალშენიშვილმა მთელი 168 ქულით გაუსწრო სომხეთის I კოლექტივის უძლიერეს წევრს ს. აღლაძეს (1000 ქულა), ხოლო ვ. სნიმშჩიკოვმა, რომელიც II ადგილზე გავიდა, მას 84 ქულით აჯობა. ფარიკაობის II ტურში სამივე პირველი ადგილი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა დაიკავეს (ი. ბრიზგალოვი, საქართველო II — 1112; ნ. ახალშენიშვილი — 1084; თ. ახალშენიშვილი, საქართველო I — 1056). აქედან გამომდინარე, ჩვენმა სპორტსმენებმა ფარიკაობის გუნდურ ჩათვლაში საგრძნობლად გაუსწრეს მომმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს — პირველ ტურში 336 (3196), ხოლო მეორეში — 420 (3084) ქულით.



ამ ტურნირის კიდევ ერთი თავისებურება ის იყო, რომ ოთხი დღის შემდეგ (ფარიკაობა — 2 ტური, ტყვიის სროლა, ცხენოსნობა) პირველ თექვსმეტ ადგილზე გასულ სპორტსმენებს ფინალის საგზურები ეძლეოდათ, სადაც გამარჯვებისთვის ცხენოსნობაში უნდა ეცადათ ძალა. აქ ყველას სპარტაკელმა თ. ტუაევმა (1084) აჯობა. სნიმშჩიკოვი მეორე იყო (1080), ხოლო ბურევესტნიკელი ა. რეშეტოვი — მესამე (1070). შეჯიბრების ლიდერი ნ. ახალშენიშვილი ფინალურ ეტაპზე გამარჯვებულს 60 ქულით ჩამორჩა, მაგრამ საერთო ჯამში იმდენად წინ იყო, რომ მისი საბოლოო გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ასეც მოხდა — ხუთი დღის ასპარეზობის შემდეგ ნ. ახალშენიშვილმა მთელი 214 ქულით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული სნიმშჩიკოვი და პირველობაც მოიპოვა (5266). აღსანიშნავია, რომ III ადგილიც ჩვენი მთავარი გუნდის წევრს, ნიკოლოზ ახალშენიშვილის უმცროს ძმას თემურს ხვდა (5046).

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

პირადი 1. ნ. ახალშენიშვილი — 5266 ქულა, 2. ვ. სნიმშჩიკოვი — 5052, 3. თ. ახალშენიშვილი (სამივე — საქართველო I) — 5046.

გუნდური. 1. საქართველო I — 12314, 2. სომხეთი I — 11840, 3. საქართველო II — 10492, 4. სომხეთი II — 10254, 5. ლატვია — 8096.

დ. გახელი.

3. უმაღლესი ლიგა, თბილისის „დინამო" გუშინ და დღეს

საუბარი მრგვალ მაგიდასთან მთავრდება უმაღლესი ლიგის გუნდების გათამაშებათა მიმოხილვით, თბილისის „დინამოს" პრობლემებით, პასუხებით მკითხველთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

„ლელო": რედაქციამ მრავალი წერილი მიიღო, სადაც ფეხბურთის მოყვარულები, როგორც ცალკეული პირები, ისე საწარმო-დაწესებულებათა, სასწავლებლების, სოფლის ორგანიზაციათა მთელი კოლექტივები გულთბილად ულოცავენ თბილისის „დინამოს" 1976 წლის დიდ მიღწევებს — საბჭოთა კავშირის თასის მოგებას და ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების ზედიზედ ორჯერ მოპოვებას.

ნ. ახალკაცი: კარგის მეტი რა გვეთქმის მათ მიმართ, ვისაც ასე ახლოს მიაქვს გულთან ჩვენი გუნდის წარმატებები და მისი ინტერესებით ცხოვრობს. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველას დიდ მადლობას ვუხდი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა სახელით.

„ლელო": ბევრს აინტერესებს ასეთი საკითხი: ბოლო წლების მანძილზე თბილისის „დინამო" თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად თამაშობდა. მწვრთნელები იცვლებოდნენ, მდგომარეობა კი კვლავ დაძაბული იყო, რამდენიმეჯერ უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშროების წინაშეც კი აღმოვჩნდით. და უცებ — ასეთი რადიკალური ხასიათის ცვლილება. ჯერ ერთი, მერვე-მეცხრე ადგილებიდან უცებ გადავინაცვლეთ მესამეზე, მოვიგეთ საბჭოთა კავშირის თასი; მეორეც და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მკვეთრად შეიცვალა თვით თამაშის არსი, ხასიათი, შინაარსი. იგივე მოთამაშეები, რომლებიც შარშან უხალისოდ, დუნედ მოძრაობდნენ მინდორზე, წლეულს მთლიანად გარდაიქმნენ. მაყურებელმა სულ სხვა ფეხბურთი ნახა, სულ სხვა დინამიკა და ურთიერთმოქმედება. მთელ რიგ მატჩებში დინამოელებმა ნამდვილი თანამედროვე, ტოტალური ფეხბურთი გვიჩვენეს. რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი თვისებრივი მეტამორფოზა თამაშში, მისი ხარისხის გაუმჯობესება და საერთო პროგრესი?

ნ. ახალკაცი: ერთი ხელის მოსმით, ერთი მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე ასეთი ნახტომის გაკეთება შეუძლებელია. ეტყობა, მთლიანად გუნდიც და მისი ცალკეული მოთამაშეებიც უკვე მზად იყვნენ ამ თვისობრივი გარდაქმნისთვის და კოლექტივში შექმნილმა ჯანსაღმა ატმოსფერომ, მეგობრულმა ურთიერთობამ, კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო თამაშის ხარისხის საერთო გაუმჯობესებას. მწვრთნელთა და ფეხბურთელთა შორის კარგი კონტაქტები დამყარდა, გამოვძებნეთ საერთო ენა, მივაგენით საერთო მნიშვნელს, იდენტურ შეხედულებებს თანამედროვე ფეხბურთზე და საკუთარ შესაძლებლობებზე. თითოეული მოთამაშე შეეცადა მაქსიმალური სარგებლობა მოეტანა კოლექტივისთვის, არ დაეზოგა ძალები, ზოგ შემთხვევაში — გადაესინჯა კიდეც თავისი საფეხბურთო კრედო... შევძელით თამაშის გარდაქმნა სადღეისო დონეზე... სასიამოვნო ამბავია.

გ. ჯეჯელავა: საფეხბურთო კოლექტივი ცალკეული მოთამაშეებისგან შედგება და დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შეისწავლის მათ მწვრთნელი, როგორ მიუდგება, რამდენად ეფექტურად გამოიყენებს მათს ძლიერ მხარეებს. მონდომებასა და თავდადებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ თბილისელთა მწვრთნელებმა, უდავოდ, ბევრი იშრომეს.

ა. ნორაკიძე: ახალკაცისთვის ძნელი და უხერხულია ამ თემაზე, ესე იგი, ფაქტიურად საკუთარ თავზე ლაპარაკი. მე ასე ვფიქრობ: აუცილებელი იყო ფეხბურთელებს გადაესინჯათ თავიანთი შეხედულება თამაშის თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებზე, შეეცვალათ დამოკიდებულება იმ დიდი დატვირთვის მიმართ, რაც საჭიროა წვრთნისა და თამაშის დროს. თბილისის „დინამო" ფაქტიურად ახალ ლიანდაგებზე გადავიდა ფეხბურთის მთელი რიგი კომპონენტების მიხედვით. ამან კი სასურველი შედეგი მოგვცა. როცა თბილისში სამუშაოდ მოიწვიეს მიხეილ იაკუშინი, მას ერთი მიზანი ჰქონდა, დაეტოვებინა გუნდი უმაღლეს ლიგაში. ამიტომ მანაც ნაცად ხერხს მიმართა, თამაშის ამოსავალ წერტილად დაცვის პრინციპი დასახა, რამაც მაშინ გაამართლა კიდეც. თბილისელთა ახლანდელმა მწვრთნელებმა სულ სხვაგვარად დაგეგმეს თამაში, მის ლაიტმოტივად შეტევა და აქტიური შუა მინდორი აირჩიეს, რის შედეგადაც გუნდის სამოქმედო სქემა სავსებით გადასხვაფერდა, მომგებიანი გახდა. უწინ დინამოელები უკან იცქირებოდნენ, ახლა კი წინ იყურებიან თამამად, გაბედულად. ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

„ლელო": საინტერესო კითხვით მიმართავენ მრგვალი მაგიდის წევრებს თბილისელი ე. თოფურიძე და ბათუმელი ა. ლორია. სტატისტიკური მონაცემებით თბილისის „დინამომ" თავისი ქულების დიდი ნაწილი დააგროვა შინ, საკუთარ მინდორზე, სტუმრად კი — გაცილებით ნაკლები. ხომ არა აქვს გუნდს ორი სათამაშო მოდელი — ერთი ეგრეთ წოდებული საშინაო და მეორე — სტუმრად, სადაც სულ სხვადასხვა ამოცანები ისახება ფეხბურთელთა წინაშე?

ნ. ახალკაცი: არა, ასეთი წინასწარ შემუშავებული ორი მოდელი ჩვენ არა გვაქვს, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე თამაში ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან. ყოველ კონკრეტულ მატჩს აქვს თავისი სპეციფიკა, დამახასიათებელი ნიშნები, შეიძლება ერთსა და იმავე მოწინააღმდეგეს სულ სხვადასხვა გეგმით ეთამაშო სხვადასხვა ვითარებაში. ისე კი მართალია: მეტოქის მინდვრებზე ცოტა ქულას ვიღებთ. მომავლისთვის სტუმრად თამაში უნდა მივიჩნიოთ იმ რეზერვად, რომელიც ჩვენს საერთო ბალანსს გააუმჯობესებს.

„ლელო": რას გვეტყვით „დინამოს" დუბლშემადგენლობის შესახებ? მან ხომ გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც საუკეთესო ადგილები დაიკავა საკავშირო გათამაშებებში?

„ლელოს" მრგვალი მაგიდა

მკითხველი — სპეციალისტი: დიდი ფეხბურთის პრობლემები

ნ. ახალკაცი: ერთია დაკავებული ადგილი და სულ სხვა — ის, თუ რა ამოცანები ევალება დუბლშემადგენლობას. ძირითადი გუნდი სულაც არ ნიშნავს მხოლოდ იმ 11 ფეხბურთელს, რომლებიც მინდორზე გამოდიან. აქ შედის კიდევ 5 მოთამაშე, უახლოესი რეზერვი და ტაქტიკური ვარიანტებისთვის საჭირო ფეხბურთელები. კოლექტივის დანარჩენი წევრები უნდა წარმოადგენდნენ იმ პერსპექტიულ ძალას, სადაც უნდა ვეძიოთ ტალანტები ვეტერანების შესაცვლელად. ბოლო ხანებში ძირითადმა შემადგენლობამ სწორედ ამგვარი რეზერვიდან მიიღო ხიზანიშვილი, ჩივაძე, მუჯირი, კოპალეიშვილი, ჭილაია და სხვანი, რომლებმაც საფუძვლიანად გაიარეს დუბლიორთა სკოლა, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ კიდევ და კიდევ გვჭირდება მაღალი კლასის საიმედო შევსება. თბილისის „დინამოში" ახლა ქუთაისიდან გადმოვიდნენ შენგელია, გაბელია და კოსტავა. რა თქმა უნდა, სრულფასოვანი საკუთარი ძალები რომ გვყოლოდა, არც „ტორპედოდან" მოთამაშეთა მოწვევა დაგვჭირდებოდა. მაღალი კლასის გუნდის დაკომპლექტება ძალზე ძნელი საქმეა და ერთი კლუბის რესურსები ამას ვერ აუვა. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცნობ გუნდს უმაღლეს ლიგაში, მარტოოდენ თავისი ძალებით რომ ახერხებდეს მაღალი შედეგებისთვის ბრძოლას.

„ლელო": ახლა მივადექით ყველასთვის უსიამოვნო საკითხს, გასული სეზონის თავისებურ „შავ ლაქას" წარმატებათა საერთო ნათელ ფონზე. საქმე ეხება თბილისის „დინამოს" ორ მატჩს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში უნგრეთის მტკ-თან, რომელიც თბილისშიც წავაგეთ და ბუდაპეშტშიც. ზოგიერთი წერილის ავტორები იმდენად არიან განაწყენებული ამ წაგებებით, რომ მათს მიღმა აღარაფრის დანახვა არ უნდათ.

ნ. ახალკაცი: ეს წყენა სავსებით გასაგებია. ჩვენც ცუდ დღეში ვიყავით, ძალზე მტკივნეულად განვიცდიდით ამ მარცხს საერთაშორისო სარბიელზე. რა პასუხი უნდა გავცეთ გულშემატკივრებს, რით ვიმართლოთ თავი? განსაკუთრებით მოულოდნელი იყო პირველი მატჩის წაგება თბილისში, რომლისთვისაც საგანგებოდ ვემზადებოდით. გადაწყვეტილი გვქონდა მისი დამაჯერებელი მოგებით შეგვექმნა მეოთხედფინალში გასვლის გარანტია. პირველი 15 წუთის მანძილზე, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მტკ თავის კართან გვყავდა მიჯაჭვული, გოლს ველოდით ყოველი ახალი იერიშის დროს. მერე კი ყველაფერი წარიმართა ცნობილი ფორმულის მიხედვით: ერთი მხარე უტევს, გოლები კი მეორეს გააქვს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სწორი გველაპარაკა უიღბლობაზე და შემთხვევითობაზე. გოლი რომ ვერ გავიტანეთ, — ეს თავდამსხმელთა შეცდომაა, 4 ბურთი რომ მივიღეთ, მეკარისა და დაცვის ბრალია. ამ შეცდომების გამო სასტიკად დავისაჯეთ.

გვრჩებოდა რაღაც შანსი განმეორებითი შეხვედრისთვის ბუდაპეშტის სტადიონზე. შეიძლება თეორიული, მინიმალური, მაგრამ მაინც შანსი. ყოველგვარ საშუალებას მივმართეთ, ფეხბურთელებთან ერთად ათასგვარი მაგალითი გავიხსენეთ, განვეწყვეთ, მოვინდომეთ, მოვიკრიბეთ ძალ-ღონე, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. პირველ ტაიმშივე ნათელი შეიქნა, რომ მტკ არაფერს დათმობდა, თავს არ დაზოგავდა მიღწეულის შესანარჩუნებლად და ასეც მოხდა. ჩვენმა ფეხბურთელებმა თავი ვერ დააღწიეს ფსიქოლოგიურ ტრავმას, შეიძლება „გადავიწვით" კიდეც (ხდება ასეთი რამ სპორტში) მატჩისთვის მზადების დროს. დინამოელები გრძნობდნენ, რომ ვერ აღწევდნენ მიზანს და ეს მათ ბორკავდა, ხელფეხს უკრავდა. მეორე ტაიმში თამაში სულ გაგვიფუჭდა. კრიტიკას თასების მფლობელთა თასის გათამაშების თაობაზე მთლიანად ვღებულობთ.

„ლელო": მკითხველებს აინტერესებთ, რა ცვლილებებია თბილისის „დინამოში"?

ნ. ახალკაცი: ზოგიერთ ცვლილებაზე აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ახლა, როცა ეს-ესაა შევუდექით წვრთნას და მხოლოდ ვიწყებთ საქმეს, გარკვეული მიზეზების გამო არ მიმაჩნია მიზანშეწონილად დავასახელო გვარები. ვთქვათ, ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ავიყვანეთ რომელიმე ახალგაზრდა მოთამაშე, მაგრამ ცოტა ხანში გამოირკვა, რომ იგი არ გამოგვადგა და გავუშვით კოლექტივიდან, როგორ იმოქმედებს ეს სპორტსმენზე. ვფიქრობ, ჯობს ცოტა მოვიცადოთ და დასახელება მერე შევუდგეთ.

„ლელო": რას გვეტყვით მოქლედ გუნდის წინასასეზონო მზადების გეგმის შესახებ?

ნ. ახალკაცი: მზადება უკვე დავიწყეთ. გავიარეთ სამედიცინო შემოწმება, ახლა ვვარჯიშობთ ღია მინდორზე. თებერვლამდე ვიქნებით თბილისში, შემდეგ გარკვეული ინტერვალით ორჯერ გავემგზავრებით ლესელიძეში, გვექნება საწვრთნელი და საკონტროლო მატჩები.

„ლელო": პრესაში კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა იმის თაობაზე, რომ შემოდგომაზე თბილისის „დინამოს" ძალზე მოუხერხებელი, მჭიდრო კალენდარი ჰქონდა და ძლივს ასწრებდა მატჩიდან მატჩზე ჩასვლას საკავშირო თასის გათამაშებაში, ჩემპიონატსა და თასების მფლობელთა თასის ტურნირში.

ნ. ახალკაცი: სავსებით მართალია. ასეთი შენიშვნა ჩვენც გამოვთქვით. ყველაფერი არია იმან, რომ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში გავედით და მოვიგეთ კიდეც იგი. კალენდრის შემდგენი, ეტყობა, არ მოელოდა ამას ჩვენგან, მაგრამ საქმეც ისაა, რომ განრიგი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ არ დაზარალდეს არავინ.

„ლელო": დ. აბაშიძე რუსთავიდან და კ. სანჩელაძე ზესტაფონიდან გვწერენ, რომ არაფრით არ არის გამართლებული ის პრაქტიკა, როცა ფეხბურთელთა ერთ ნაწილს საზეიმო გაცილებას უწყობენ მაყურებელთა თანდასწრებით, სხვები კი, მათი დიდი დამსახურების მიუხედავად, ამგვარი ყურადღების გარეშე რჩებიან. ამ უკანასკნელთა შორის არიან ხურცილავა, ძოძუაშვილი, ასათიანი.

ნ. ახალკაცი: მართებული შენიშვნაა. მოგვიანებით, მაგრამ ასეთ გაცილებას აუცილებლად მოვუწყობთ დასახელებულ ფეხბურთელებს.

„ლელო": თბილისელი გულშემატკივრის ა. მაქარაშვილის აზრით, ჩვენს „დინამოს" აკლია მოულოდნელობის ეფექტი და მახვილგონივრული სვლები სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშების დროს: კუთხური, საჯარიმო, თავისუფალი დარტყმა.

ნ. ახალკაცი: შეიძლება. რადგან მაყურებელმა ეს შენიშნა, რა თქმა უნდა, ამ მიმართებით გარკვეული მუშაობა და სიახლეების დანერგვა გვმართებს.

„ლელო": აი, წერილი რუსთავიდან, რომელსაც ხელს აწერს შ. რეხვიაშვილი. მასზე არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს ის ამბავი, რომ თბილისის „დინამოს" მატჩების დამთავრების შემდეგ ჟიური სპეციალურ პრიზებს აკუთვნებს საუკეთესო მოთამაშეებს, მაგრამ სინამდვილეში გამოდის, რომ პრიზებს თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე მოთამაშე ღებულობს, სულ ორი-სამი კაცი, ეს კი არ არის სასურველი.

ა. ჰკუასელი: პრიზების გადაცემის მოსურნეა ბევრი ორგანიზაცია, საწარმო-დაწესებულება. მაგრამ სავალდებულოდ არ მიგვაჩნია საუკეთესო მოთამაშეთა გამოვლენა ყოველ მატჩში, შეიძლება სხვა, ორიგინალური პრიზის დაწესებაც. ამიტომ ეს საკითხი წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული ფეხბურთის სამმართველოსთან და თვით მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებთანაც.

„ლელო": დ. გუმბერიძე სამტრედიიდან გვწერს, რომ თბილისის „დინამოს" წლევანდელ მიღწევებთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა გამოეშვათ ლამაზად გაფორმებული სუვენირები, სამკერდე ნიშნები, რომლებსაც სპორტის მოყვარულები სიამოვნებით შეინახავდნენ სამახსოვროდ.

ა. ჰკუასელი: ზოგიერთი სუვენირი უკვე გამოშვებულია. ახლა მასობრივად გამოვა სამკერდე ნიშანი თასის გამოსახულებით.

„ლელო": თბილისელი ს. შარვაძე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ მაყურებელთა მიმართ, რომლებიც გუნდის წარუმატებლობის დროს სტვენით იკლებენ ტრიბუნებს, ზოგჯერ უხამსი სიტყვებითაც ილანძღებიან. რა რეაქციას იწვევს ეს ფეხბურთელებში?

ნ. ახალკაცი: თუ გინდა კაცს მოეხმარო, ხელი გაუმართო შენიანს, ყველაფერს ჯობს არ ლანძღო იგი და არ უსტვინო. ფეხბურთელები ცდილობენ ყურადღება არ მიაქციონ ასეთ გამოხდომებს, მაგრამ, როცა მაყურებელი გაჭირვების დროს მეგობრულად გიჭერს მხარს, ეს აორკეცებს მათს ძალებს.

„ლელო": მრგვალი მაგიდის წინა სხდომაზე საუბარი გვქონდა იმაზე, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ხშირად ვხვდებით უხარისხო მსაჯობის შემთხვევებს, თბილისელი ლ. ბარბაქაძე კი შენიშნავს, რომ ხშირად უმაღლეს ლიგაშიც არ დგას სათანადო დონეზე მატჩების მომსახურების საქმე. რა ზომებს მიმართავენ იმ მსაჯთა მიმართ, ვინც არადამაკმაყოფილებლად ატარებს მატჩებს?

კ. ყრუაშვილი: არბიტრთა შეცდომები იშვიათი მოვლენა არ არის უმაღლეს ლიგაშიც კი. ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არსებობს სპეციალური შემმოწმებელი ბრიგადები ადგილობრივ მსაჯთა კოლეგიებში, რომლებიც ყოველ მატჩს ესწრებიან და არბიტრთა მუშაობას აფასებენ. ამას გარდა, კალენდარულ თამაშებს ესწრებიან საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მიერ სპეციალურად დანიშნული კომისიები, რომლებიც აგრეთვე ამოწმებენ მსაჯის მოქმედებას, თუ საჭიროა, ხდება მატჩების ვიდეოჩანაწერის განხილვა. ყოველივე ამის საფუძველზე ხდება მსაჯთა საერთო შეფასება. ბევრი მათგანი სათანადოდ ისჯება.

„ლელო": მკითხველთა ბევრ წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ ხშირად მოეწყოს ფეხბურთის მოყვარულთა შეხვედრები გუნდებთან, მოთამაშეებთან.

ნ. ახალკაცი: ასეთი შეხვედრები ჩვენ უკვე გვქონდა ცალკეულ ორგანიზაციებთანაც და „ლოკომოტივის" სტადიონზეც. რომელ დაწესებულებასაც კი აქვს საამისო სურვილი, შეგვატყობინოს, შევთანხმდებით და ვეწვევით მათ სტუმრად, ასეთი კონტაქტები მეტად სასარგებლო იქნება...

ამით დამთავრდა ჩვენი მრგვალი მაგიდის სხდომები, მკითხველთა გასაუბრება ფეხბურთის სპეციალისტებთან. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გულშემატკივართა ყველა წერილის განხილვა, მათზე პასუხების გაცემა. ჩვენ შევარჩიეთ მთავარი, რასაც საერთო თემა აერთიანებდა. ვფიქრობთ, გასაუბრება არ იყო უსარგებლო და ინტერესმოკლებული.

„ლელოს" რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გამოგვიგზავნა წერილები და ამრიგად გახდა ამ დაუსწრებელი საუბრის მონაწილე, აგრეთვე, ფეხბურთის სპეციალისტებსა და მწვრთნელებს, რომლებმაც გამოთქვეს თავიანთი კომპეტენტური აზრი იმის შესახებ, თუ როგორი გზებით, რა საშუალებებით უნდა გადაიჭრას ჩვენი დიდი ფეხბურთის პრობლემები.

●

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ სულ ახლახან შეადგინა ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის საკლასიფიკაციო სია, სადაც ყოველ ცალკეულ ადგილზე დასახელებულ უძლიერეს მოთამაშეთა შორის დაცვის ხაზში № 1 ადგილი მიეკუთვნა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელს შოთა ხინჩაგაშვილს (სურათზე — მარჯვნივ).

ხუთი წამის ფასი

პირველი წრის ბოლოსწინა მატჩი თბილისის „ბურევესტნიკმა" ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის ლიდერთან ცსკა-სთან გამართა. კაუნსელი მაყურებლები მართლაც მეტად საინტერესო და დაძაბული ბრძოლის მოწმენი გახდნენ. მართალია, პირველი ტაიმი ლიდერმა სამი ბურთის სხვაობით მოიგო (12:9), მაგრამ შესვენების შემდეგ თბილისელებმა წონასწორობის აღდგენაც შეძლეს და დაწინაურდნენ კიდეც. შეხვედრის დამთავრებას რაღაც 5 წამი აკლდა, როცა თბილისელები მატჩს ერთი ბურთის სხვაობით იგებდნენ — 19:18. სწორედ ეს ხუთი წამი აღმოჩნდა დრამატული. შეხვედრის არბიტრმა თბილისელთა კარში დანიშნა შვიდმეტრიანი საჯარიმო, რომელიც მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს და საბოლოოდ... ფრე — 19:19.

გამარჯვებული ვერ გამოვლინდა კიდევ ორ მატჩში: ფრედ დაამთავრეს შეხვედრები მინსკისა და კიევის არმიელთა გუნდებმა — 24:24 (11:12), კაუნასის „გრანიტასმა" და კრასნოდარის „უნივერსიტეტმა" — 22:22 (13:10). მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივმა ლვოვის ასკ-სთან — 21:20 (10:12). მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" დაამარცხა — 36:22 (14:10) და ლიდერთა ჯგუფს სათავეში მოექცა. მოსკოვის „კუნცევომ" ასევე იოლი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „ნევასთან" — 27:18 (14:12).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 დეკემბრისთვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტ.	9	0	1	317—253	18
ცსკა	8	1	1	321—224	17
„ბურევესტნიკი"	7	1	2	245—230	15
„კუნცევო"	6	1	3	229—212	13
ინდუსტრ. ინსტ.	5	0	5	236—233	10
„ალუმინსტროი"	5	0	5	265—276	10
„გრანიტასი"	4	2	4	245—257	10
ასკ (კიევი)	3	2	5	218—250	8
„უნივერსიტეტი"	3	1	6	225—253	7
ასკ (ლვოვი)	2	1	7	214—233	5
ასკ (მინსკი)	2	1	7	243—268	5
„ნევა"	1	0	9	226—295	2

ტაშკენტის საფეიქრო კომბინატის კლუბ „ტექსტილშჩიკში" 14 სპორტული სექციაა. ყველა ამ სექციაში ბავშვებიც მეცადინეობენ. მათს განკარგულებაშია საუცხოო სპორტული დარბაზები, სარბენი ბილიკები, აუზები.

საკდესის ფოტო.

შაშის დაფებთან

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს ვაჟთა პირველობები 64- და 100-უჯრიან შაშში.

64-უჯრიანი შაში. X ტური. თამაზ ბარამიძე — ვ. გობოზოვი (ცხინვალი) 0:1, რ. ესართია — რ. რეხვიაშვილი (რუსთავი) 0,5:0,5, გ. წოწონავა (სოხუმი) — ს. გრიგოლია (სამტრედია) 0,5:0,5, ა. ბერუაშვილი — მ. ცანავა (ფოთი) — 0,5:0,5, ს. ჰახლაჯიანი — შ. თუმანიშვილი 0,5:0,5.

10 ტურის შემდეგ ვ. გობოზოვს 8 ქულა აქვს, ა. ბერუაშვილს — 7,5, თ. ბარამიძეს — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ს. ველთაური,
შეჯიბრების მსაჯი.

100-უჯრიანი შაში. X ტური. ს. მალოვიკი — ე. რომანოვი (ორივე — სოხუმი) 1:0, თ. მარკოზაშვილი — ე. ბუჟინსკი 0:1, ვ. ინწკირველი — გ. მინასიანი 0:1, თენგიზ ბარამიძე (ფოთი) — ნ. დარასელია 1:0. შ. ბოთერაშვილი ზ. ქოქოევთან (ცხინვალი) სათამაშოდ არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა.

ბოლო, მე-11 ტურის შედეგის მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ოსტატმა ე. ბუჟინსკიმ (9 ქულა). 7,5 ქულა მოაგროვა ს. მალოვიკმა, თ. ბარამიძეს 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

დღეს გაიმართება დასკვნითი, XI ტური.

ზ. ქიტუაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.

ჩემპიონის ხელწერა

შტრბსკე-პლესო. ჩეხოსლოვაკიის ამ სამთო კურორტზე გაიმართა წლევანდელი ზამთრის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება სათხილამურო ორჭიდში. 15 კილომეტრზე რბენამ წარმატება მოუტანა საბჭოთა სპორტსმენს ნ. ნოგოვიცინს (47.10,0), მაგრამ შემდეგ, ხტომებში, იგი VII ადგილს დასჯერდა, ორჭიდში 411,0 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ მეთხე იყო.

ყველას აჯობა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უ. ველინგმა (გდრ) — 439,28. იგი ხტომაშიც და რბოლაშიც II ადგილებზე გავიდა.

ლიდერობს პრიოლი

სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე ქალები ცელ-ამ-ზეეს (ავსტრია) სწრაფდაშვების ტრასაზე ასპარეზობდნენ. თანამემამულეებმა წელიწად-ნახევრის შემდეგ სამოყვარულო დისტანციაზე კვლავ იხილეს მსოფლიო თასის ხუთგზის მფლობელი ა. მოზერ-პრიოლი.

2320-მეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად გაიარა ბ. ჰაბერზატერ-ტოჩნიგმა (ავსტრია) — 1.30,65. მას 0,15 წამით ჩამორჩა პრიოლი, რომელსაც ამ ეტაპის შემდეგ საერთო ჯამში 89 ქულა დაუგროვდა და ტურნირის ლიდერი გახდა. მეორე ადგილს ინარჩუნებს შვეიცარიელი სამთომოთხილამურე ლ. მ. მორერო — 70 ქულა. ტოჩნიგმა ბოლო ეტაპზე გამარჯვებით III ადგილზე გადაინაცვლა — 68.

ტრაგედია პორტ-ო-პრენსში

კუბისა და ჰაიტის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პორტ-ო-პრენსში ჩატარდა. ამ მატჩის დროს სტადიონზე ექვსი კაცი მოკლეს. დასავლეთის სააგენტოები ჰაიტის ოფიციალურ ორგანოთა ცნობებზე დაყრდნობით წერენ, რომ ეს ტრაგიკული ფაქტი „უყურადღებობის გამო" მოხდა. მართლა ასეა?

ჰაიტი დიდი ხანია ტერორის სარბიელად იქცა. ამ ქვეყანაში სათავეშივე ახშობენ თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლენას, რეჟიმის დემოკრატიზაციისკენ მისწრაფებას. რეჟიმის სამოქმედო პროგრამა, ისევე როგორც წინათ, ახლაც დაუფარავი ანტიკომუნიზმია.

სწორედ ამიტომ, როცა პორტ-ო-პრენსში თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლები — კუბის ნაკრების ფეხბურთელები ჩავიდნენ, ყველაფერი მოსალოდნელი იყო. და დატრიალდა კიდეც ტრაგედია. სტუმრები თავდაპირველად აგებდნენ (0:1), შემდეგ ანგარიში გაქვითეს. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, ამ ამბით გაშმაგებულმა „ერთმა ჯარისკაცმა" ავტომატის კონდახი მიწას დასცხო და... ხალხით გაჭედილ ტრიბუნებზე უბედურება დატრიალდა. ექვსი კაცი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა. (საკდესი).

უოლტერ სტოლეს რეკორდები

დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ დღემდე ტრანსპორტის ბევრი სხვადასხვა სახეა გამოყენებული. თავიდან ეს გატაცება, რასაკვირველია, აფრიანი ხომალდებით მოგზაურობით დაიწყო. დღეს კი ყველაზე მეტი პოპულარობა ველოსიპედმა მოიპოვა.

მაგალითად, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის მცხოვრებმა უოლტერ სტოლემ, რომელმაც ველოკრუიზი 1959 წლიდან დაიწყო, 159 ქვეყანა შემოიარა. ამ ხნის მანძილზე მან 600 ათას კილომეტრზე მეტი დაფარა, 6 ველოსიპედი გამოიცვალა, თითქმის ათასჯერ შეაკეთა მანქანა, 230-ჯერ გაძარცვეს და შვიდჯერ სცემეს.

ს უ რ ა თ ზ ე: შინ კი გამოცდილმა ველოსიპედისტმა... ქუჩაში მოძრაობის წესებიც ვერ დაიცვა.

იუპი-საკდესის ტელეფოტო.

ორი ოკეანის დედოფალი

პოლონელი აფროსანი კრისტინა ხოინოვსკა-ლისკევიჩი თავისი „მაზურეკით" სიდნეიში ჩავიდა. იგი მსოფლიოში ერთადერთი ქალია, რომელმაც აფრიანი ნავით მარტოდმარტო გადალახა ორი ოკეანე. პოლონელმა სპორტსმენმა ეს 16000-მილიანი მოგზაურობა გდანსკში დაიწყო, შემდეგ გადასერა ატლანტის ოკეანე, პანამის არხი და წყნარი ოკეანის გავლით სიდნეის მიაღწია.

კრისტინა სიდნეიში გაატარებს შტორმების პერიოდს, მერე კი უკან დაბრუნდება აფრიანი ნავით. (საკდესი).

„შაბათის სპორტლოტოს" შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 25 დეკემბერს მოსკოვში მოეწყო.

პირველი ტირაჟი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (13 ბარათი), ოთხისთვის — 241 (1151), სამისთვის — 6 (44791).

მეორე ტირაჟი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (1 ბარათი), ოთხისთვის — 239 (1304), სამისთვის — 6 (49037).

მოგებული თანხა გაიცემა 4 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით.

52-ე ტირაჟი

მოსკოვი, 29 დეკემბერი. დღეს აქ მოეწყო „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 52-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო": 8, 17, 23, 28, 38, 41.

„სპორტლოტო-2": 4, 16, 25, 26, 30, 31.

„სპორტლოტოს" მოყვარულებს

„შაბათის სპორტლოტოს" პირველი ტირაჟი ახალი წლის პირველ დღეს ეწყობა. ამ ტირაჟისთვის ბარათებს მიმავალი წლის ბოლო დღეებში შეავსებთ, საახალწლოდ კი, როგორც ამბობენ, ყველა ნატვრა და სურვილი უსრულდება კაცს. იქნებ თქვენთვისაც იღბლიანი გამოდგეს 1977 წლის პირველი ტირაჟი.

გაგიღიმათ თუ არა ბედმა, ამას შეიტყობთ ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით 1 იანვარს, 16 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით.

წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

საქსპორტლოტო.

საახალწლო ნობათები

თბილისელი ანზორ ბურჯანაძე „სპორტლოტოს" თავდადებული თაყვანისმცემელია. იგი თითქმის ყველა ტირაჟში მონაწილეობს. ამ ერთგულებისთვის „სპორტლოტომ" საზღაური ბედნიერი ბარათებით გადაუხადა. 1971 წელს ა. ბურჯანაძემ ხუთი ნომერი გამოიცნო და 1671 მანეთი მოიგო. სულ ახლახან კი მან საახალწლო საჩუქარი მიიღო: „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის ოცდაათი ბარათიდან შვიდი მომგებიანი აღმოჩნდა. ბურჯანაძემ სწორად გამოიცნო ხუთ-ხუთი სახეობა და თითოეული ბარათით 2950 მანეთი მოიგო. სულ მისმა მოგებამ 20650 მანეთი შეადგინა!

წინასაახალწლო დღეებში ბედმა გაუღიმა „სოიუზპეჩატის" თბილისის განყოფილების თანამშრომელს მარინე ანთიძესაც. მისმა 15 წლის ვაჟმა „შაბათის სპორტლოტოს" მე-17 ტირაჟში ხუთი ნომერი გამოიცნო და დედას საახალწლო საჩუქრად 5 ათასი მანეთის მოგება უძღვნა.

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სპორტული ლატარიის მოყვარულებს მომავალ 1977 წელს.

ნ. პორტნოი,
საქსპორტლოტოს უფროსი ინსტრუქტორი.

საახალწლო ცისფერი ეკრანი

31 დეკემბერს საქართველოს ტელევიზია დიდ ადგილს უთმობს სპორტულ გადაცემებს. **17 საათზე** თბილისისა და მოსკოვის არხებით ნაჩვენები იქნება ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს სპორტული პროგრამების მთავარი რედაქციის მიერ მომზადებული სიუჟეტი თემაზე: „მონრეალი-76" (ფერადი გამოსახულებით).

საქართველოს ტელევიზია აწყობს ორ საინტერესო გადაცემას: **19 საათზე** ნაჩვენები იქნება „სპორტული კალეიდოსკოპი" (ფერადი), ხოლო **20 საათსა და 30 წუთზე** საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის ახალი ნამუშევარი „თასი-76" (პრემიერა).

მხარი აუბა...

ტექნიკა და სპორტი

დღეს, როცა საბჭოთა სპეციალისტები გულმოდგინედ სწავლობენ ოლიმპიურ თამაშებში ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების გამოცდილებას, რათა „ოლიმპიადა-80"-სთვის მაღალხარისხოვანი და ორიგინალური ხელსაწყოები, აპარატურა და მოწყობილობები შექმნან, საინტერესოა გავიხსენოთ ზოგი რამ XXI ოლიმპიური ასპარეზობის პრაქტიკიდან.

როგორც XXI ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე მშენებლობისა და ტექნიკური აღჭურვილობის დარგში ლუვე ამბობს, თამაშებისთვის ყველაზე დიდი ელექტრული ტაბლოს შექმნის მიზნით ჯერ კიდევ 1974 წელს გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც 42 ფირმა მონაწილეობდა.

ცენტრალური ტაბლოს გარდა, მონრეალის ოლიმპიადისთვის ერთ-ერთმა ამერიკულმა ფირმამ შექმნა ტაბლო „ტელესკრინი", რომელსაც ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა მართავდა. იგი, გარდა ჩვეულებრივი ინფორმაციისა (განცხადებები, სტატისტიკური მონაცემები, სპორტული შედეგები და სხვ.), მსხვილი პლანით აჩვენებდა ცალკეულ ეპიზოდებს სპორტულ მოედნებზე, სტადიონებზე გამართული შეჯიბრებებიდან, იმეორებდა ან შენელებით უჩვენებდა სპორტსმენთა გამოსვლებს. ასეთი ტაბლო ხუთ ადგილას დაიდგა.

საინტერესოა, რომ ოლიმპიურ სტადიონზე მოწყობილ ერთ სადემონსტრაციო ტაბლოს 19200 ელექტრონათურა ჰქონდა. ყოველი ნათურისთვის ძაბვას ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა განსაზღვრავდა, რაც გამოსახულებისთვის (სურვილის მიხედვით) სხვადასხვა ტონების მიცემის საშუალებას იძლეოდა.

ოლიმპიურ მოედნებსა და სტადიონებზე წესრიგის დაცვის მიზნით მოაწყვეს რადიოკავშირი, რისთვისაც მილიონი დოლარი დაიხარჯა. სულ მონრეალში 600 გადასატანი რადიოსადგური ემსახურებოდა მსაჯებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს.

ყოველდღიურად ასპარეზობათა ადგილებიდან გადაცემებს აწარმოებდა 60 სატელევიზიო და 111 რადიომაუწყებლობის ორგანიზაცია, რისთვისაც გამოიყენეს 19 მოძრავი სატელევიზიო სადგური და ბევრი დამატებითი მოწყობილობა (88 ტელეკამერა, 17 ვიდეომაგნიტოფონი, 10 შენელებული მოქმედების ვიდეოტელეფონი და სხვ.).

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაობის კოორდინაციის მიზნით მონრეალში შეიქმნა ოლიმპიური რადიო- და ტელევიზიის ორგანიზაცია, რაც 56 მილიონი დოლარი დაჯდა.

მონრეალში გაიყვანეს 1 მილიონი კილომეტრი საერთო სიგრძის კავშირგაბმულობის ხაზი და 93 კილომეტრი სიგრძის სატელევიზიო კაბელი. კოაქსიალურმა კაბელმა ერთმანეთთან დააკავშირა მონრეალი, ტორონტო და ოტავა.

ერთი სიტყვით, XXI ოლიმპიურ თამაშებზე ტექნიკამ მხარი აუბა სპორტს.

ა. ცისკარიძე.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 31 დეკემბერს

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 15023